



ეროვნული
დემოკრატიული

საპარტეზო

სურათებიანი ლაგატი
გაზეთის № 130 ლაგატი № 24

პვირა, 12 თიბათვი, 1916 წ.



მელოზები (ვარიაცია მეორე) ნახტი ვლ. ს.—ერისთავისა.

ვიყავი მარტო

ვიყავი მარტო და ფიქრში წასულს
როს შენი სახე მაგონდებოდა,
ტრფობით აღვზნილი ვიღებდი კალამს
და ლექსიც გრძნობით იწერებოდა.
ო, ნეტა იმ დროს; ოცნების ფრთებით
ვინ იცის სად არ დაენავარდობდი;

მეგობართ შორის, სახლში თუ გარეთ,
შენზე კარგის მეტს არას ვამბობდი.

მაშ რად მემდური, სულზე უტკბესო,
რა დაგიშავე ან შენ ან სხვასა?
გთხოვ უმიზეზოდ ნუ დამდებ ბრალსა,
ცხოვრების გზაზე ობლად მავალსა!..

ქნარი.

ორი ვერძი

1

...„შეიძლება შენ ეს წერილი არც
წაიკითხო... ან წაიკითხო და გაჯავ-
რებულმა სიბრაზისაგან მსწრაფლ და-
ხიო... დეე, როგორც გსურდეს ისე
მოიქეცი,—ეს შენი რწმენის საქმეა!
„დახიო“—მეთქი, ვამბობ, რადგან
ვიცი შენი პატრიარქალური შეხედუ-
ლება ქორწინებაზე, ცოლის მოვალეო-
ბაზე, ზნეობაზე, პატიოსნებაზე... არ
მინდოდა ეს სიტყვა შეხმარა, მაგრამ
წამომცდა... საზოგადოდ, თავისუფლე-
ბის შემზღვეველი ყოველგვარი სიტყვა
და საგანი მეჯავრება. პირუტყვისა-
თვის თოკი მოიგონეს, მხეცისა და
დამნაშავეისთვის—ბორკილები, ჩვენის-
თანა ქალებისათვის—კი „ზნეობა“. და-
ვანებოთ ამ სიტყვას თავი, მე მისი
მეშინია!.. მეშინია, იმიტომ კი არა,—
ანგარიშს გაუწევდე მის მნიშვნელო-
ბას; მე ამას დიდი ხანია თავი დავა-
ხწვი; ვშიშობ შენთვის, სხვებისათვის;
ეგ სიტყვა გაგზნდით ღმერთად, კერ-

პად და მის წინაშე შიშითა ძრწით.
თუმცა თქვენც თქვენებურად მართა-
ლნი ხართ, მაგრამ არც მე ვარ მტყუ-
ანი... თქვენ თქვენებურად გესმით მა-
თი მნიშვნელობა, მე ჩემებურად. აგრე
იყო,—„რწმენამან შენმან გაცხოველს
შენ“. მხოლოდ ველოდით იმ დროს,
როდესაც საყოველთაო კანონად პი-
რადი თავსუფლება იქნება აღიარე-
ბული.
ეჰ, ვინ მოესწრება ამ დღეს?
ჰოდა ასე!
შენს ამდენი ხნის სიჩუმესაც ამ მი-
ზეზით ვხსნი: მიჯავრდები!
როგორ, მე, ძველი პატრიარქალური
ოჯახის შვილმა, სასტიკ ზნეობრივ
კანონებზე აღზრდილმა, გემნაზის
შენმა თანშეზრდილმა მეგობარმა და-
ვტოვე კანონიერი ქმარი და გავყე
სხვას?!
გთხოვ, ასე ნუ იფიქრებ!.. სხვას კი
არ გავყე,—გავყე ჩემს გრძნობას, ჩემს
„მე“-ს, ჩემს დაუკმაყოფილებელს სურ-
ვილს ძიებისას.. ბედმა გამილიმა და
ვიპოვე ადამიანი, რომელსაც მთელს
მსოფლიოში ტოლი არა ჰყავს!..

მე ასე მგონია!..
ამას იმიტომ კი არა გწერ, შენს
წინაშე თავი ვიშარლო! ეს ჩემთვის
საჭირო არ არის... მინდა მხოლოდ
გითხრა გულწრფელი აღსარება; იქნე-
ბა ამან ცოტათი მაინც შეარყიოს შე-
ნი მსოფლმხედველობის მჭიდრო სა-
ფუძველი და შენი სასწორი სამართ-
თლიანობისა, ჩემკენ გადმოხაროს.
რა იყო აქამდის ჩემი ცხოვრება?
არაფერი! ჩარხის ჩვეულებრივი ბრუნ-
ვა, რომლის მრავალფეროვანება მხო-
ლოდ ერთში გამოიხატებოდა—ხან
დღე იყო, ხან ღამე და ამ „მრავალ-
ფეროვანების“ ერთფერობა—კი—მოსა-
წყენი, გულის მომწყველი.
სწავლა დავამთავრე თუ არა,—გავ-
თხოვდი... გავთხოვდი, რადგან ასე
მსურდა!
გათხოვებით მე მოველოდი ბედნიე-
რებას, ახალ ცხოვრებას, ახალ შთა-
ბეჭდილებებს... ასე მგონია, მთელი
ჩემი არსება სრულიად გარდაიქმნე-
ბათქი... მოვტყუედი! მაგრამ არა ვნა-
ნობ, რადგან ესეც გამოვცადე; არც
შეიძლება სხვაფრივ მომხდარიყო.

ყველა ახალგაზრდა ქალს გათხოვება
უნდა. ნუ გჯერა, როცა ქალი გეუ-
ბნება—გათხოვება არ მინდაო. ეს
ტყუილია! ასე ლაპარაკობენ მხოლოდ
ისინი, ვისაც ამ ბედნიერების ყოველ-
გვარი იმედი გადაწყვეტილი აქვთ.
შეიძლება „იმედიანებიც“ ასე ამბობენ,
მაგრამ თვალთმაქცობენ. თუ შენთვის
ვა მიეცათ სიხარულით თხოვდებიან
და უმრავლესობა „ბედნიერია“. შენა
გგონია ფრჩხილებში იმიტომ ჩავსვი
ეგ სიტყვა, რომ დავცინი? არა! მა-
თი ბედნიერება ჩემში ერთგვარ შურს
იწვევს... ადამიანი, რომელიც ასე მო-
წურად ემორჩილება თავის ხვედრს,
ჩვენი ცხოვრების ღუხუჩირ პირობებში
ბედნიერად უნდა ჩაითვალოს. იგი
ფართო ცხოვრების სხივებს ზურგს
უქცევს და საკუთარ ნაქუქში იშენებს
„ბედნიერებას“.
მე-კი ეს ვერ შევძელი... ალბად ჩე-
მი ბუნება სულ სხვაა! პირიქით, ცხო-
ვრების ეს სხივები ბნელად მეჩვენება
და მინდა სინათლე შევმატო. ზოგჯერ
ცხოვრების ზღუდეს თვლით ვხედავ
და მინდა ეს ზღუდე გავარღვიო. ჩემი



იროდიონ ევლოშვილი სოხუმში
ძუკუ ლოლუას ქართულ გუნდის მომღერალთა შორის.

სული საითკენღაც მისწრაფვის, დაუსრულებელისაკენ! სახლს გარედ ცხოვრება სდულს და გადმოდის, — სახლში კი ცხოვრება მდორე, მყაყე, მშვიდობიანი!.. არავითარი იდეალი, არც მიზანი!.. სხვა ქალი ჩემს ქმართან დიდ ბედნიერებას იგრძნობდა; კარგი სამსახური, სიმდიდრე, ხასიათი კეთილი, ლობიერი, ცოლის ზედმიწევნით პატრვისმცემელი და მოყვარული მყუდრო ცხოვრებისა; ყველაფერი აღნუსხული, გაზომილ-გამოანგარიშებული...

სხვა ამით დაკმაყოფილებოდა, მაგრამ მე... ყველაფერი ეს მაჯლაჯუნასავით გულზე მაწვა და მახრჩობდა. მე ვეძიებდი სულ სხვას! ვერც ერთი ატომი ჩემის ძიებისა ვერ ვპოვე ვერც ქმარში, ვერც ოჯახში... ოჯახი გადამეჭვა დახურულ კუბოთ... ქმარი კი სრულიად ჩვეულებრივ ადამიანად, რომელიც სჭამს, სვამს, სძინავს და თავის სამსახურს პედანტიურად ასრულებს...

მე კი სულ სხვას ვეძიებდი! ჩემი სული, მთელი ჩემი არსება მისწრაფოდა არაჩვეულებრივ გმირისაკენ, რაინდისაკენ! ისეთ ადამიანისაკენ, რომელიც რაიმე ღირსებით სხვებისგან განირჩეოდა! და აი, ვიპოვე კიდეც ადამიანი! როგორ ამბობენ ხოლმე ჩვენი მწერლები? „თავისუფლების ზარმა ჩამოჰკრა“! ჰო და გავიგონე თუ არა ეს ხმა მეც გადავეფიქრე ცხოვრების საერთო დულილში. ჩემი სულის საზრდო თითქოს ვიპოვე: მოძრაობა, სიცოცხლე მღელვარე, ბობოქარი... ღმერთო ჩემო, რა მშვენიერობაა, დასწყვიტა არტახები და ერთბაშათ იგრძნო თავისუფლება!..

ლაშოს კრებაა; ილაპარაკებს ახლად ჩამოსული ამხანაგი... ვერ წარმოიდგენ, რა განვიცადე ამ სამი სიტყვის გაგონებაზე! „ახალი“, „მოსული“, „ამხანაგი“. „ახალი“ — ძველის უარისმყოფელი! „მოსული“ — შორით მოსული, რომლის სიშორეს გულის სიღრმეში გრძნობ, მაგრამ ვერ გამოგიჩვენებია, და... „ამხანაგი“, — ჩემის იდეის, რწმენის ამხანაგი, თანამოაზრე, თანამორწმუნე. ამ სამმა სიტყვამ ჩემში შექმნა რაღაც ერთეული, ჩაიჭრა ჩემს სულში და აავსო ბავშობიდანვე დარჩენილი სიტალიერე. მისი არსება ჩემში ვიგრძენ და ჩემი სული მის სულში. გთხოვ, ავხორციობათ ნუ ჩამომართმევ ამ გრძნობას; შენ იცი, — მე ავხორცი არასოდეს არა ვყოფილვარ. კრებაზე წავედი და რა ვნახე?! ჩემი ოცნების სინამდვილე! ჩემი იდეალი ხორცშესხმული, ადამიანად ქცეული.

მხოლოდ ეხლა მესმის აკვანში ჩაკრულ ბავშვის ფსიხოლოგია. იბრძოდე თავისუფლების მოსაპოვებლად არა მარტო შენთვის, — მთელი კაცობრიობისათვის!

ის ჩემი „ძმა“, რომელიც ოდესღაც შიშით იბუზებოდა, ვერ ბედავდა ჩემთვის სახეში შემოხედნა, დღეს წელში გაიმართა, ამაყად, გაბედულად მოდის, მხრებზე ხელს დამკრავს და მეძახის: „ამხანაგო!“ რომ იცოდე, რამდენი სილამაზეა ამ, როგორც შენ ამბობ, „უხეშ“ ქცევაში!

მე რომ შენი არისტოკრატიული ჭემოვნება ვიცი, ეს არ მოგეწონება, მაგრამ ეს რწმენის საქმეა! ჩემთვის ეს დიდი ნეტარებაა! ყველა გიყვარს, ყველა ძმად მიგაჩნია, ყოველ კერძო ადამიანში მთელი შენი არსების ნაწილსა გრძნობ...

თუმცა ასე ვგრძნობდი, მაინც რაღაც მაკლდა... არ ვიყავ სრული ბედნიერი...

ოჯახი შემძულდა; მიყვარდა ქუჩა და მოედანი. ქმრის აღერსი წამებად გადამეჭვა; შემძულდა, რადგან ჩემს იდეალსა და მისწრაფებას დასცინოდა; და ვინც მე არ თანამიგრძნობდა — ყველა მძულდა... მძულდა და თანაც მებრალბოდა, როგორც ცხოვრებას ჩამოშორებული, გონება დახშული პირუტყვი.

ერთ დღეს შემატყობინეს: „ამ სა-

პირველად რომ გამოვიდა და დავინახე, — სისხლი თავში ამივარდა და თვალთ დამიბნელდა; დავბრმავდი, კედელს მივეყრდნე, მაგრამ გავიგონე თუ არა მისი პირველი სიტყვა: „ამხანაგებო!“ მსწრაფლ გონს მოვედი, გამოვიფხიზლდი.

ვერ ავიწერ, რამდენი ძალა ნებისა, შეუღრეკელობა, სიძლიერე, მოძმისადმი სიყვარულით გამთბარი, გაღვივებული გრძნობა გაისმოდა ამ ერთ სიტყვაში.

იგი ლაპარაკობდა, მაგრამ ეს არ იყო ჩვეულებრივი ავტაცია. ეს იყო ყურთა სმენის წარმტაცი, მშვენიერი სიტყვათა შადრევანი. იგი მოუწოდებდა ხალხს აჯანყებისაკენ, რომ დაემსხვრია საუკუნოებით ნაჭედი მონობის ბორკილები... და იმ დროს მზა ვიყავ მტარვალს ვცემოდი და თვალები გამომიეკაწრა.

როცა იგი ლაპარაკობს, ხან ანგელოზთა გუნდის გალობა გესმის, ხან განრისხებული ცის ქექა-ქუხილი. მისი თვალები ნაპერწკლებს აფრქვევს და ეს ნაპერწკლები შეერთებული ბრწყინვალე შარავანდედათ ეფინება მის გონიერს შუბლს. მაღალი, ამაყი, ახოვანი — იგი იმ წუთში ღმერთსა ჰგავს.



პრაპ. თ-დი ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი.
(სახადით გარდაიცვალა ოსმალეთის ასპარეზზე)



ქართველ ცხენოსანთა თამაში.



ბურთაობა ძველს საქართველოში.

(იხ. დღევანდელი გაზეთის ფელეტონი)

მერწმუნე, რომ მოგესმინა მისი ლაპარაკი, ან ის გენახა იმ წუთში — საშიში მეტოქე გამიჩნდებოდა.

იმ საღამოსვე გავიცანით ერთმანეთი და... რაღა ბევრი ვილაპარაკო, — ეხლა ერთად ვცხოვრობთ...

წარმოიდგინე ჩემი ქმრის გულცივობა. როცა გამოვუტყდი ყველაფერში და ვუთხარი: „მე სხვა მიყვარს და მასთან მივდივარ-მეთქი, იცი, რა მიპასუხა?

— ძველი წეს-წყობილება ინგრევა, მაშასადამე პირადი ცხოვრებაც უნდა შეიცვალოსო“...

სრულიად გულგრილად აუშფოთებლივ; მხოლოდ ოდნავმა ღიმილმა გადაჰკრა ტუჩებზე.

არა, როგორ მოგწერე!

ეხლა ვცხოვრობ, მაგრამ ეს ცხოვრება კი არა... — სიზმარია, ოცნება!

განა ოდესმე წარმოვიდგენდი ასეთ ბედნიერებას?

ღმერთო ჩემო, რომ შევადარებ ჩემს ქმარს და ამას...

რა დიდი განსხვავებაა! რამოდენა უფსკრულია მათ შორის!

ჩემი ქმარი სუსტი, ეგოისტურის გრძობებით შებოჭილი, ეს-კი, — მძლავრი, შეუდრეკელი, გმირი, ცხოვრების შბრძანებელი, ბედის მჭედელი!.. მას თავისი მისწრაფება, იდეალი არ შეუზღუდავს ვიწრო ეროვნულის ფარგლებით! იგი იბრძვის მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ, მას უყვარს ყველა ადამიანი განურჩევლად... მერე რომ იცოდე, რა დიდი ბედნიერებაა შენც მოიპოვო პატარა კუნჭული იმ ზღვა გულში, საცა მთელს კაცობრიობას წრფელის გრძობით გამთბარი, მყუდრო თავშესაფარი უპოვნია.

არა, შენ ამას ვერ გაიგებ, ვერ მიხვდები!

ყველაფერს თავი მივანებე, აღარც ვკითხულობ, აღარც ვწერ... მისით აივსო მთელი ჩემი არსება და ყველაფრის მაგივრობას იგი მიწევს. რამდენჯერ მისაყვედურა, (საყვედურიც რომ მომხიბლავი იცის!) მოინდომა სრული ჩემი განვითარება, რომ ავეყვანე მის სიმალემდე, (ასე მეტყვის ხოლმე) მაგრამ არ მინდა! გიკვირს? არა, ნუ გაიკვირებ.

მე მინდა იგი ჩემზე მაღლა იდგეს და მეც, მისი თაყვანისმცემელი დაბლიდან სასოებით შევეყურებდე. ეს ასეც არის!

იგი ჩემი ზევსია და დამცქერის ოლიმპის სიმალლიდან, — მე-კი მის ფერხთა ქვეშ განრთხმული ვარ ვით მონა...

შენთვის ეს გაუგებარია განა?

ჩემს მდგომარეობაში უნდა იყო, რომ გაიგო!

„შენი ნალა“.

II

...გწერ უკანასკნელად... გსურდეს გამეიცხე, დამსაჯე, ჩემთვის ეხლა აღარაფერს მნიშვნელობა აღარ აქვს, — არც საზოგადოებრივ აზრს, არც კერძო პირის შეხედულებას; შენ იტყვი: „თუ ჩემს შეხედულებას მისთვის არავითარი ფასი არ აქვს, ძალად ჩამაცივდაო“... მართალი ხარ, მაგრამ მე მაინც მინდა ჩემი განცდა გავიზიარო. გაიშო ის, რაც გამოვიარე პირველი წერილის შემდეგ. მას აქეთ ისე დიდმა დრომ განვლო!

ვერ შეგპირდები, ამ წერილის დასაწყისიც ისეთივე საამო იყოს, როგორც პირველი იყო...

ღმერთო ჩემო, რამდენ ცუდს იფიქრებს ჩემზე!

მაგრამ ეს შენი საქმეა!

ჰო და ასე!

პირველ წერილში გწერდი: „ვიპოვე ადამიანი, რომლის გრძობას ჩემი გრძობა ჩავუხლართე და სული მის სულს შევუქსოვე-მეთქი.“

რამდენი მსხვერპლი მივიტანე ამ გატაცების სამსხვერპლოზე! ფეხით გაეთელე საზოგადოებრივი აზრი, როგორც შენ ამბობ ხოლმე „ზნეობრივი კანონები“, (ღირდა?) და დავემონე იმ კაცს, რომლის ბადალი, ასე მეგონა, ქვეყნად არ შობილა-მეთქი. ასე მეგონა მამაკაცთა შორის იგი რჩეულია, რომ ყველა ის თვისებები, რომლითაც მან მომხიბლა, მომაჯადოვა, დაბადებითვე თანდაყოლილი აქვს; რომ ეს თვისებები ხელმძღვანელობდნენ მის ნისწრაფებას, ივინი უნათებდნენ გზას და სამარეშიც თან ჩაჰყვება მეთქი. რა ვიცოდი, თუ ეს იყო აბოზოქრებულ ცხოვრების მხოლოდ მონაბერი და ისე გაჰქრებოდა პატარა ნიავის ქროლვაზე, ვით მთაში ანასხლეთი ღრუბელის პატარა ქულა.

მუდმივი და საუკუნო აღარაფერია ამ ქვეყნად...

ღმერთო, რა ტანჯვა, რა წამებაა, როდესაც შენს იდეალს, მძლავრს, ბუმბერაზს დაბლიდან შესცქერ, ვერ გაგიბედნია არა თუ ხელის შეხება, სიტყვის თქმა-კი, მაგრამ ერთბაშათ დაჰბერავს ქარი, ხის პაწაწინა შტოს გაჰკრავს შენს კერას და ისიც, ვით საპნის ბუშტი ჩაჰქრება, ჩაიფუქება და მძლეთა-—მძლე რაინდის ნაცვლად გრჩება ჩონჩხი ცარიელი, გამოფიტული.

აღბად მიხვდები, ვიხედაც ვამბობ! ჩემს მეორე „ქმარზე“...

ჩემს „განხორციელებულს ოცნება-

ზე“, ამ „გმირთა-გმირზე“, „კაცობრიობის აღორძინებისათვის მებრძოლზე“...

რა ბედის დაცინვაა! ყველა ის სიტყვები, რომლითაც ოდესღაც იგი მოენათლე და მეც მწამდა ვით სიმბოლო ჩემის საწმუნოებისა, — ეხლა ფრჩხილებში ჩავსვი... ჩავსვი იმიტომ, რომ დავრწმუნდო, არც ერთი ეს სიტყვა მას არ უხდება! პირიქით, იგი არცხვენს, ჰბლალავს ამ მშვენიერს სიტყვებს.

ღმერთო, რად არის მოგონილი ეს სშვენიერი სიტყვები?! რომ ადამიანს ფხიზელი გონება დაუბნელოს, დაათროს, გააბრუოს?!

ჩემი „ქმარი“... გინდ გამეიცხე, ეხლა სწორედ ქმარს ვეძახი, რადგან ისიც ჩვეულებრივი, სუსტი ადამიანი გამოდგა; თითქმის უარესი, ვიდრე ჩემი პირველი ქმარი იყო. პირველის ღირსება ის იყო, რომ მას ერთგვარი გეგმა ჰქონდა შემუშავებული ცხოვრებაში და მას მისდევდა; ეს-კი მუდამ რყევაშია, ყოველ ნაბიჯზე უკვე აზრს იცვლის, უხასიათო, უნებო... განა წარმოვიდგენდი?!

...როგორც პოლიტიკური დამნაშავე ცივ ქვეყნებში გადაასახლეს. მეც თან გავყევი. აბა რას დავრჩებოდი!

ჩემს ოცნების კოშკს პირველი აგური სამსჯავროშივე მოერღვა...

გამოუცხადეს თუ არა განაჩენი, ეს კაცი როგორღაც მოეშვა. მოწყდა; ამაყი თავი ძირს დახარა, წელში მოილუნა და წარმოიდგინე, — თვალბში ცრემლიც-კი... მაგრამ არ მინდა მოვიგონო!

ჰო და მაშინ ასე მეგონა ჩემთან დაშორებას თუ სწუხს მეთქი, სამშობლოდან განდევნას... მივედი, გავამხნევე: „ნუ გეშინია! სადაც შენ, იქაც-მე! თან წამოგყვები-მეთქი“ სასოწარ-



კვეთით ხელი ჩაიქნია, ტუჩები აუთრ-
თოლდა და ამოიხრა.

არაფერი არ მითხრა, მაგრამ მის
ხელის ჩაქნევაში საშინელი უიმედობა
სინანული და სინამდვილე იხატებოდა.
მე მაინც იმედს არა ვკარგავდი.
ჩავედით დანიშნულს ადგილს.

რათ გინდა ავიწერო იქაურობა! გა-
ნა შეიძლება კაცმა შეადაროს ეს ღე-
თის ქვეყანა იმ უდაბნოს?! სწორედ
ეს მეგონა მიზეზი, რომ ჩასვლისთანა-
ვე დაიწყო სმა; ჯერ დრო გამოშვე-
ბით, მერე-კი ყოველ დღე ითვრებო-
და.

მებრალეობდა, ვითმენდი, რადგან
მეგონა სამშობლოდან ლტოლვილი
სმაში იხიობს გულის დარდს-მეთქი და
ველოდი განთავისუფლების საათს,
როპლისთვისაც შეამდგომლობა უკვე
აღბრული იყო და დიდი იმედიც
გქონდა.

ამ საათამაც დაჰკრა: გაანთავისუფ-
ლეს.

დავბრუნდით სამშობლოში. ჩემს
სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა:
უფიქრობდი, დაჩაგრულ მოძმეს დაუ-
ბრუნდა ერთი საუკეთესო მებრძოლი;
და კვლავ ჩემი ღმერთიც აღსდგა-მე-
თქი.

თურმე ჩემს კოშკს საძირკველი
მთლად მორღვეოდა და ინგრეოდა.

დიღობ სახლიდან გავიდოდა და
სალამოზე მოდიოდა მთვრალი. არა
ფერს ჩემსას არა კითხულობდა. თით-
ქოს დაავიწყდა—ვარსებობ ქვეყნად
თუ არა. როცა შემთხვევით დამინა-
ხავდა ისეთის გაკვირვებულის თვალე-
ბით შემომხედავდა, რომ ტანში ში-
შის ქრუანტელი დამივლიდა ხოლმე.

რამდენჯერ დაჩოქილს მითხოვნია:
„ნუ შერები, ნუ იღუპავ თავს! აღს-
დექ და კვლავ ემსახურე შენს საქმეს-
მეთქი!—მუდამ ერთსა და იმავეს მი-
მეორებდა: „შენ დედაკაცი ხარ და
ჩემს სულის კვეთებას ვერ გაიგებო!“..

ამას მეუბნებოდა მე, რომელსაც
ოდესღაც ყოველ მის გულის ნადებს
მიზიარებდა ხოლმე.

წელში მოხრილი, თავჩაქინდრული,
ჭუჭყიანი, თმა და წვერ მოშვებული,
წვრილმანი... ფუჰ! ესლაც რომ მომა-
გონდება, რაღაც ორგანიულ ზიზღსა
ვერძნობ.

ფაქტიურად ერთმანეთს დავეშორ-
დით. თუმცა ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობ-
დით, მაგრამ ცოლქმარნი უკვე დიდი
ხანია აღარ ვიყავით.

ჩემს პირველ ქმარს გაეგო ჩემი უბე-
ღურება, მოვიდა, ყველაფერი მაპა-
ტია და მოხოვა დავბრუნებოდი, მაგ-
რამ მის სულგრძელობაზე ჩემის სულ-
მდაბლობით ვერ ვუპასუხე და უარი
ვუთხარი.

...ჩავეუკვირდი ჩემს ცხოვრებას—იგი
თავით ბოლომდე წყვილიდით იყო
მოცული.

ზოგი წარსულით ცოცხლობს... მაგ-
რამ როცა ბრწყინვალე წარსულის
მხოლოდ აჩრდილი-ლა დარჩება და
ისიც ჭუჭყითა და ტალახით შეთითხ-
ნილი, —უმჯობესია ისიც დავიწყებას
მიეცეს.

დრო ბადავს გმირებს და ბედნიე-
რია გმირის ის თავყანისმცემელი, რო-
მელიც სიცოცხლეში თავის იდეალის
სულით დაცემას თვალთ არ დაინა-
ხავს.

მე-კი ბედმა ესეც მარგუნა.

რაში მეპოვნა ნუგეში? რითი შე-
მეგოსო სულის ეს ნაკლი? ახალგაზრდა
ვიყავ, ცხოვრება მწყუროდა და მეც
ერთხელ კიდევ გადავეშვი ძიების მო-
რევში, წარმოდგენები, კონცერტები,
სალამოები, კლუბები!..

თუ წინედ მის ფეხებთან მჯდომარე
თვლებში შევცქეროდი და ამაში
ვპოებდი ბედნიერებას, ესლა მსურდა
ცხოვრებით დამთვრალს ვინმე ფეხქვეშ
მგდებოდა და დავმტკბარიყავ მისი
დამცირებით. თუ წინედ მაზე ვლო-

ცულობდი, ესლა მსურდა მე ველმერ-
თებინე, მეწამებინა, დაჩეტანჯა, რომ
მთელი მამაკაცთა სქესის ჯავრი მაზე
ამომეყარა.

ერთ საღამოს იგი ძალზე მთვრალი
მოვიდა. ჩვეულებრივად დაეწყო ლან-
ძვა-გინება; მეც ველარ მოვითმინე,—
ავეყვი. საკმაოდ გავლანძღეთ ერთმა-
ნეთი. გაბრაზებულმა მიპყო ხელი
მტვრევას. ყველაფერი დაღეწა, და
როდესაც ღონე მიხილილი შუა ოთახში
გაიშლართა და დაეძინა, მე ტანთ
ჩავიცვი და ქუჩაში გამოვედი. იმ წუ-
თში გადაწყვეტილი მქონდა, ვინც
პირველი შემხვებოდა მამაკაცი, კი-
სერში ვცემოდი და ყელი გამომეღა-
რა... სჩანს განგებას არა სურდა ვინმე
უდანაშაულო დამესაჯა და პირველ
ყოვლისა ჩემი ნაცნობი ქალები შემხვ-
დნენ,—კლუბში მიდიოდნენ. მეც მი-
ვიღე ყოვლად ბედნიერისა და ცხოვ-
რებით კმაყოფილის სახე და სიცილ-
კისკისით გავყე მათ.

ელექტრონით გაჩაღებული დარბა-
ზი, მორთულ-მოკაზმული ქალნი და
ვაჟნი, მზიარულნი, სიცოცხლით
სავსენი... თუმცა მთლად ვერა, მაგ-
რამ ცოტათი მაინც გადაიყარა გუ-
ლიდან სევდა; დავჯექ კუთხეში და
ერთ ჩემს ნაცნობ ქალთან ლაპარა-
კი გავაბი.

ვლაპარაკობდით ამ ცხოვრების
მშვენიერებაზე, მის სილამაზეზე... ის
ქალი „ბედნიერი“ იყო, კმაყოფილი
თავის ცხოვრებით და ამ ქვეყნიური
სილამაზით აღტაცებული; მეც, რა
თქმა უნდა, მის ტკბილს ამოძახილს
ბანს ვაძლევდი... წარმოიდგინე, ისე
შევბოჭე ჩემი გრძნობა, არც ერთ-
ხელ არ დამირღვევია საერთო ჰანგი.

ამ დროს ერთი, ჩემთვის უცნობი,
ყმაწვილი დარბაზში შემოვიდა.

რაღაც ძალამ უნებურად მისკენ მი-
მებრუნა.

ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდ-
ნენ.

იგი, ვით ხვადი, რომელმაც ეს არის
ძუ დაინახა, ერთბაშად შეუერთა, გა-
დადგმული ნაბიჯი იატაკს შეაცვივდა,
შედგა და ოდნავ ჩემკენ გადმოხრილი,
ყურება დამიწყო. ველარ გავუძელ მი-
სი თვალების ცეცხლს და სახე მივი-
ბრუნე.

მინდოდა ლაპარაკი განმეგრძო,—
ენა დამება, უაზროდ ვლულულულებდი,
აზრები ამერიგენ; მინდოდა დავძრუ-
ლიყავ,—რაღაც ძალამ სავარძელში ჩა-
მაქდია. ტანში სასიამოვნო ქრუანტელ-
მა დამიარა.

არ მახსოვს, რამდენი ხანი ვიყავ ამ
მდგომარეობაში.

მუსიკის ხმა მომესმა. „ვალს“ უკრა-
ვდნენ. ერთბაშათ მესმის:

—„ნება მიბოძეთ გთხოვოთ!

მოვიხედე-ის იყო. ვით ჯეირანი
ყელმოღერებული, ჩემს წინ იდგა და
ვნებით სავსე თვალებით შემომაცქერ-
და.

ავირიე. ველარაფერი ვუთხარი...

—სასჯელათ ჩავთვლი, თუ უა-
რი მითხარით... კვლავ გულში ჩამწვდა
მისი ხმა.

თვალეში ცეცხლის რგოლები ამი-
თამაშდა... ხმა ამოუღებელივ მივედი
და მხარზე დავეყრდნე.

გამაქანა, გამიტაცა, დამატრიალა...
თავბრუ დამხვევი მისი სუნი თავში
ამივარდა, დამათრო...


და მეც დავხუტე თვალები, დავეყრ-
დნე მის მკერდს და სრულიად მოშვე-
ბული, ღონე მიხილილი, ნეტარის გრძ-
ნობით გამსჭვალული დავენდე მის
მძლავრს ხელებს.

ასე ვცეკვავდით, ეტრიალებდით...
არა, იგი დამაქროლებდა რაღაც ჯა-
ღონსურს სიზმარში... ჩემს ფეხთა ქვეშ
ნიადავს აღარა ვგრძნობდი...

—რა მშვენივრად ცეკვავთ!.. მო-
მესმა. ტკბილი ხმა.

—რა მომჯადოებელი რაპა ხარო!..
გამიმეორა ისევ.

(დასასრული იქნება)
ვალ. შალიკაშვილი.



ახალ კლუბში: „პაკრიშკა! პაკრიშკა“.